



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №2

ქალაქი ბათუმი

2020 წლის 25 თებერვალი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს ო რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- |                      |                                                                                         |
|----------------------|-----------------------------------------------------------------------------------------|
| თამაზ სალუქვაძე      | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;                                                     |
| ლაშა სირაბიძე        | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;                                                     |
| გოჩა მგელაძე         | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                         |
| დიმიტრი ჭეიშვილი     | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                   |
| ნატალია ზოიძე        | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;           |
| ირაკლი პატარიძე      | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;  |
| ზურაბ ნაკაიძე        | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                |
| თემურ კახიძე         | - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                     |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |

- ნერიმან ცინცაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ნატალია ძიძიგური - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე;
- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- დავით მახარაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი;

**არ ესწრებოდნენ:**

- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი.
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- ლევან ანთაძე - საკრებულოს წევრი.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - ლაშა კომახიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი- ჯაბა ტულუში;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭავაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით კოპინაძე;
- შპს „სანდასუფთავების“ დირექტორი - დავით დუმბაძე;
- ა(ა)იპ - „გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის“ დირექტორი დავით დიასამიძე;
- ა(ა)იპ - „ბათუმის სასაფლაოების“ დირექტორი ავთო ბურკაძე;
- ა(ა)იპ - „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტოს“ დირექტორი - ასლან გელაძე;
- ა(ა)იპ - „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ დირექტორი - ჯუმბერ კობალაძე;
- ა(ა)იპ - „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი სულხან ევგენიძე;
- ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ იურისტი - შორენა ავჯიშვილი;
- შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ დირექტორი - ბადრი ფარტენაძე;
- შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ადმინისტრაციის უფროსი - მარად სანიკიძე;
- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის წარმომადგენელი - ნინო ლომაია;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - გურანდა აბულაძე.
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ 23 თებერვალი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი მტკივნეული თარიღია, საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ კოჯორ-ტაბახმელასთან გამართულ ბრძოლაში დაღუპულ ახალგაზრდა იუნკერებს პატივს მიაგებენ. 1919 წელს შექმნილი

სამხედრო სკოლის იუნკერები ისტორიაში სწორედ 1921 წლის თებერვლის ბრძოლების შემდეგ შევიდნენ. გაიმართა ხუთ დღიანი ბრძოლა, გმირულად დაიღუპნენ ჩვენი მეომრები. 1921 წლის 25 თებერვალს კი საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში უბრძოლველად შეიჭრა. მოკავშირეების დარჩენილმა ქვეყანამ რუსეთის არმიას სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია, რუსეთმა საქართველოს დედაქალაქი დაიკავა და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა ბათუმის მისადგომებთან, სადაც დაღუპული იუნკერები დაკრძალული არიან ბათუმში, გმირთა ხეივანში. საკრებულომ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო გმირულად დაღუპულების ხსოვნას.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია ოცი სამართლებრივი აქტის პროექტი. ასევე აღნიშნა დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე.

დღის წესრიგის გარშემო წინადადებები არ წარმოდგენილა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

### **დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარაძე)

**საკითხი 2.** „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

**საკითხი 3.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის და სანიაღვრე სისტემის გამოყენებისათვის საზღაურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე)

**საკითხი 7.** „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის წესისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასურის დადგენის შესახებ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 02 ნოემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ იურისტი - შორენა ავჯიშვილი)

**საკითხი 8.** „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 125<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ იურისტი - შორენა ავჯიშვილი)

**საკითხი 9.** „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ადმინისტრაციის უფროსი - მარად სანიკიძე)

**საკითხი 10.** „ქალაქ ბათუმში, ნ. ბარათაშვილის ქ. N14/ზ. გორგილამის ქ. N2-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე გიორგი ერქომიანიშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

**საკითხი 11.** „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 10 თებერვლის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 12.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 13.** „სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 14.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 15.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, გორგილაძის ქ.№91-ს მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 16.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ბარბარეს ეკლესიის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 17.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 18.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 19.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, გოგოლის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 20.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ახმედ მელაშვილის ქ. №13-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.**

საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა რომ ყოველი საკრებულოს სხდომის წინა დღეებში ფრაქცია „ბათუმი“ შემოვლას აკეთებს ქალაქის ტერიტორიაზე. მან განმეორებით აღნიშნა რამდენიმე საკითხის თაობაზე, კერძოდ:

- ქალაქის ცენტრში უამრავი კაფე-ბარების განთავსების გამო სავალი ნაწილის გადაკეცვის გამო ადამიანებს უწევთ მანქანების სამომრავო ნაწილში გავლა, რისთვისაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა რეაგირება.

- სამარშრუტო ავტობუსები, მათ შორის №29, სადამოს საათებში მოძრაობს 5-6 მანქანა, მოსახლეობა საათობით ელოდება. მათ 6 წუთიანი განრიგი აქვთ, მაგრამ საათნახევარი უწევთ ავტობუსზე ლოდინი. მან მოითხოვა უფლებამოსილების ფარგლებში შეიქმნას კომისია დეტალურად შესწავლის მიზნით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

- თამარის დასახლებაში ავტობუსების გადატვირთული (4 მიმართულებით) მოძრაობის, დასახლების ცენტრში არსებული უსახური მოსაცდელის, ქუჩაში ამორტიზირებული, საფრთხისშემცველი ქვაფენილებისა და აღნიშნულთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენტურ სამსახურებზე არაერთხელ მიმართვისა და მათი მხრიდან გულგრილობის თაობაზე.

-საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ წერეთლის 6-ის მიმდებარედ მოწყობილია ე.წ სადგური - ბათუმი თბილისის და ქუთაისის მიმართულებით, მან მიმართა მერს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეაგირება.

-საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ „ბათუმი ცენტრალთან“ იძულებით ფასიან პარკინგზე ბათუმის მერს სთხოვა საკითხით დაინტერესება და ალტერნატიული უფასო გაჩერების ადგილი შესთავაზოს მოქალაქეებს მატარებლის სადგურთან გასაჩერებლად. საკითხი ეხება „ბათუმი ცენტრალის“ პარკინგს, რომელიც ფასიანია და მისი ღირებულება ორი ლარია. „ბათუმი ცენტრალის“ ტერიტორიაზე თუნდაც ერთი წუთით გაჩერების შემთხვევაში მძღოლი ვალდებულია ფასიანი პარკინგით ისარგებლოს. ტერიტორიას ესაზღვრება საავტომობილო გზა, სადაც ამ მონაკვეთზე ავტომანქანის გაჩერება აკრძალულია. სხვა ადგილი, სადაც მატარებლის მგზავრების მოლოდინში მძღოლები ავტომანქანებს გააჩერებენ, მერიას გამოყოფილი არ აქვს. პრობლემა ექმნებათ ასევე ტაქსის მძღოლებს, რომლებსაც აქ მგზავრები მიჰყავთ. ასევე აღნიშნა ლაშა ტალახაძეზე, რომ ის მსოფლიოს მესამე ძალოსნად დასახელდა და მიულოცა წარმატება. ეს არის ის პიროვნება, რომელიც შეიძლება მისი რეკორდები საუკუნეების განმავლობაში ვერავინ ვერ მოხსნას. ლაშა ტალახაძეს სურვილი აქვს მოსკოვში, სულ ცოტა ხანში ევროპის ჩემპიონატის ჩატარების დღეს ააჟღეროს საქართველოს ჰიმნი, რომელიც არის ქვეყნის სიყვარული და მაგალითი.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის პროგრამა ნელი ტემპით მიმდინარეობს, რის გამოც დასვა შეკითხვა ტურისტულ სეზონამდე დასრულების თაობაზე, რადგან მოსახლეობას უხერხულობას უქმნის მუდმივად გადაკეტილი გზები და იქმნება საცობები. მერიის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მისაღებია შესაბამისი ზომები, ასევე ზამთრის სეზონთან დაკავშირებით მერიამ მიიღო ზომები და გზები გაწმინდა, მაგრამ შეინიშნებოდა არასაკმარისი ტექნიკა, მაგალითად, მარილის დამყრელი მანქანები, აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძენია რამდენიმე მანქანა. მან ქალაქში ფილების საკითხთან დაკავშირებით გაამახვილა ყურადღება, რომელიც შესაკეთებელია და ამორტიზირებულია.

საკრებულოს წევრმა თამაზ დევაძემ აღნიშნა, რომ გორგილაძის ქუჩის რეაბილიტაცია მთავრდება, შემდგომ გაკეთდება ბაგრატიონისა და ლადო ასათიანის კვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მომზადებულია სანიაღვრე მილები, თუმცა მოხდა ასეთი ფაქტი: შპს „სამკუთხედის“ წარმომადგენლები იყვნენ მასთან საჩივრით, საწყობის მფლობელების მიერ პრეტენზიის თაობაზე, კერძოდ ქუჩის სამუშაო პროცესების დროს გადაკეტვასთან დაკავშირებით, რადგან მიიღებენ ეკონომიკურ ზარალს. ის ფიქრობს, რომ ხელს შეუშლის მერიის მიერ არსებული ვალდებულებების შესრულებას და დანიშნულ დროში შეუსრულებლობას.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აზუსერისძე ტბელის ქუჩა №23-თან კორექტორთან არასწორი მიერთების გამო დასაჩქარებელია პროცესი.



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს. მან აღნიშნა, რომ ცალკეული ისეთი საკითხი გაჟღერდა, რომ ნებისმიერ სამუშაო რეჟიმში შეიძლება დასაშვარი და გადაწყვეტილების მიღება.

ავტობუსის გაჩერება გაკეთდება შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ.

კაფე-ბარების მიერ საზოგადოებრივი სივრცეების ათვისებას, რაც შეეხება არის ის, რომ დღევანდელი ინიციატივა საფასურის დაწესებაზე კიდევ ერთი ნაბიჯია ამ მიმართულებით, რომ შეიზღუდოს კაფე-ბარების თვითნებობა თუ სურვილი, ფართოდ განლაგდნენ საზოგადოებრივ სივრცეებში. აქვე არის ა(ა) იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ ხელმძღვანელი, რომელსაც მმართველს სეზონის დაწყებამდე გააქტიურება.

სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა ღამის საათებში - სამარშრუტო ტაქსებში დასრულდა ჯიპიესების განთავსება და ახლა გადადიან შემდეგ ეტაპზე - დისპეჩერიზაციას, რის შემდგომაც დაიწყება კონტროლი და მათგან მოითხოვენ თითოეული ხაზის სამარშრუტო გრაფიკის წარმოდგენას, რაც გულისხმობს ინტერვალს.

წერეთლის ქუჩაზე ავტოსადგურის გადატანა- ამაზე რეაგირება მერიას ჰქონდა და აღიკვეთა, თუმცა ისინი დაბრუნდნენ იმავე წერტილში, რომელიც ცუდი ფაქტია, რაზედაც მუნიციპალური ინსპექცია გააკონტროლებს და მიიღებს ზომებს.

ბათუმი ცენტრალის პარკინგის საფასური - ხელმძღვანელობას გაესაუბრება და აღნიშნა, რომ იძულებითი სახით პარკირებაზე შეშვება არ არის სამართლიანი. ამ კუთხით მათთან ექნებათ დიალოგი.

სანიაღვრე არხების პროექტები მოესწრება თუ არა ზაფხულამდე - ქალაქი გადაკეტილია სხვადასხვა ქუჩებზე დაახლოებით 13 მისამართზე, ნამდვილად ვერ გაიზიარებს, რომ ნელი ტემპით მიმდინარეობს, პირიქით მაღალი ტემპით მიმდინარეობს და ეს სამუშაოები ძირითადად ხორციელდება გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ, რომელიც უნდა დასრულდეს მიმდინარე წელს. სამუშაოები მსხვილმასშტაბიანია.

ზამთრის სამუშაოებზე ტექნიკა - ის ფიქრობს რომ კარგად გაართვეს თავი გაწმენდით სამუშაოებს, ყოველთვის არის მეტის შესაძლებლობა და საჭიროება, შპს „სანდასუფთავება“ უახლოეს პერიოდში წარმოადგენს ანგარიშს სამუშაოებთან დაკავშირებით, თუმცა არსებული ტექნიკა შეძენილი იყო 2016 წელს.

ქალაქში ფილების პრობლემა - ნამდვილად პრობლემურია, ყოველწლიურად მერია აკეთებს დაზიანებულ ფილებს, განსაკუთრებით თოვლი და წვიმა აზიანებს, მერია აკეთებს საპილოტე მონაკვეთს, რომელიც ბიუჯეტით გაწერილია, საპილოტე მონაკვეთი ახალი ტექნოლოგიით გაკეთდება, რომელიც იქნება ცემენტნარევ მყარ ბაზაზე დაგებული. მარტ-აპრილში განხორციელდება სატესტო მონაკვეთი. შემდგომ ბიუჯეტში ცვლილების დროს გათვალისწინებული იქნება გორგასალისა და ფარნავაზ მეფის ქუჩებზე გზაჯვარედინზე ფერადი პიგმენტური ბეტონის საფარის გაკეთება, რომელსაც შუაში ექნება ქალაქისთვის დამახასიათებელი სიმბოლიკები სპილენძის ფიგურებით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ  
ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილება. ასევე გადასახდელების ცვლილება ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით; წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოდგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გარდამავალი ფულადი სახსრების ნაშთი; სპეციალური ტრანსფერი - 124.9 ათასი ლარით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა "ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის" პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით; საბიუჯეტო შემოსულობების ზრდის და ნაშთის გამოყენების გათვალისწინებული იქნა 2020 წლიდან გარდამავალი და ახალი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსება. ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია განმარტებით ბარათს თან ერთვის დანართის სახით.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ მომხსენებელმა ისაუბრა შეზღუდული პირების მიმართ ზღვაზე ჩასასვლელის შესახებ, რის გამოც ყველაზე მაღალი კედელი აღმართულია თამარის, ბარცხანის და მახინჯაურის დასახლებაში, გათვალისწინებული არის თუ არა ეს ობიექტები, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ერთი პროექტი, რომელიც მომზადებულია გათვალისწინებულია - ბენზეში, რესტორან „ოქროს თევზთან“ არსებულ სანაპიროზე ჩასასვლელი ლითონის კონსტრუქციის კიბესთან ერთად ჩასასვლელი ლითონის კონსტრუქციის პანდუსის მოწყობა. ასევე საკრებულოს წევრმა თამაზ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ ბარცხანის დასახლებაში კიბეებთან ერთად პანდუსით ჩასასვლელი არის.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ დასვა შეკითხვა ქალაქის ტერიტორიაზე საპირფარეოების მოწყობის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით მიმდინარეობს მუშაობა და შესაბამისი ტერიტორიების იჯარაზე გაცემის კუთხით მზადდება წინადადებები.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ დასვა შეკითხვა ახალი ელექტროავტობუსების შემოყვანის თაობაზე, სასიხარულო იქნება პარკინგის განახლება, რაზედაც ქალაქის მუნიციპალიტეტის მერმა უპასუხა, რომ ზაფხულში ელოდებიან 8 ელექტროავტობუსს, რაც შეეხება განახლებას, 105 ავტობუსი რჩება გამოსაცვლელი, წარმოდგენილი იქნება გეგმა ავტობუსების ჩანაცვლების თაობაზე. ერთროულად ჩვენი ბიუჯეტისთვის რთულია, ამიტომ შესაძლებელია ეტაპობრივად შეძენა.

საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ აღნიშნა, რომ ბათუმზე და ბათუმელებზე მორგებული ბიუჯეტია და მერიას მადლობა გადაუხადა. მან დასვა კითხვა ლერმონტოვის ქუჩის ბოლოში გზის გაკეთებასთან და შელახული ღობეების, დასახლებული კედლების შეღებვასთან დაკავშირებით. ბათუმის მერმა გასცა პასუხი, რომ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად მუშაობენ კარგ ტურისტულ ლოკაციაზე, რომ მარტო ზღვისპირა ზოლი არ იყოს ტურისტული მხარე. ამ კუთხით საინტერესო კონცეფცია იქნება.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებულია კარგი ცვლილებები, დაემატა ინფრასტრუქტურული პროექტები, სკვერების რეაბილიტაცია, რომელმაც დადებითად შეაფასა. ასევე ახალი ღონისძიებაა ძაღლების შინ მოვლასთან დაკავშირებით და მოსახლეობას მოუწოდა, რომ ძაღლების შინ მოვლა-100 ძაღლი-ერთი თვე 60 ლარი დათვლილია 10 თვეზე. მიესალმება ბათუმის ბოტანიკურ ბაღის ძველი პიკაპის ჩამოწერას და ახლის შექმნას, ასევე მიესალმება მუნიციპალიტეტის ინსპექციაში შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გატარებულ ღონისძიებას, თუმცა როგორც მერი, ასევე საკრებულო დიდ იმედს ამყარებს ამ სამსახურზე.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 2. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიღების მიზანია „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების მიღება. 2019 წლის 03 დეკემბერს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ და „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №261 დადგენილება. აღნიშნულმა სამართლებრივმა აქტებმა დაადგინა ფუნქციური ზონების განსხვავებული დასახელებები, რის გამოც საჭირო გახდა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებით დამტკიცებული ზონირების ნაწილის ზოგადი ზონირების რუკა ჩამოყალიბებული ახალი რედაქციით.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15  
სხდომას არ ესწრებოდა: - 2 (თ. კახიძე, ნ. ძიძიგური)  
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

**მ ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 3.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის და სანიაღვრე სისტემის გამოყენებისათვის საზღაურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის და სანიაღვრე სისტემის გამოყენებისათვის საზღაურის დადგენა და ამ მიზნით დადგენილების მიღება. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დაწესდეს საზღაური ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის გამოყენებისათვის საჯარო მიზნებიდან გამომდინარე.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

- საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 14

სხდომას არ ესწრებოდა: - 3 (თ. კახიძე, ნ. ძიმიგური, ა. მამულაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ბათუმის ტერიტორიაზე მშენებლობასთან დაკავშირებით მოქმედი სამშენებლო რეგულაციების შესაბამისად გარკვეული შეღავათის დაწესება. საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 94-ე მუხლის შესაბამისად II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად შესაძლებელია დადგინდეს მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება. აღნიშნული დადგენილების მიღებით მოხდება II კლასის ობიექტების მშენებლობის ნებართვის მიღების პროცედურების გამარტივება. დადგენილების პროექტით ხდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენა.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად, მიზანშეწონილია: ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის N4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზა-



**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი 2018 წლის 18 იანვარს მიუერთდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივას - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG), რითაც აიღო ვალდებულება მოემზადებინა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა (LED), ადგილობრივი ეკონომიკურ განვითარებისა და რეგიონში ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ხელშეწყობის მიზნით.

ქალაქ ბათუმის მერიის მიერ გეგმა მომზადდა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივის სამდივნოს მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად, ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებისათვის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში შეიქმნა LED ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ქალაქ ბათუმის მერიის (2), სამოქალაქო საზოგადოების (1) და ბიზნეს სექტორის (1) წარმომადგენლებისაგან.

გეგმის შემუშავების პირველ ეტაპზე განხორციელდა იმ დაინტერესებული მხარეების რუკის შედგენა, რომლებიც მონაწილეობენ და აქტიურ გავლენას ახდენენ ქ. ბათუმის ეკონომიკური განვითარებაზე. სამუშაო პროცესში ჩართული იყვნენ შემდეგი დაინტერესებული მხარეები: 1. აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; 2. აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი; 3. აჭარის არ დასაქმების სააგენტო; 4. აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატა; 5. უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები; 6. სსო-ები; 7. ბიზნეს ინკუბატორი; 8. ბათუმის ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. სამუშაო პროცესში სხვადასხვა მიმართულების ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა ჩართვის პროცესის გამარტივება განაპირობა LED ჯგუფში აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ჩართულობამ, რომელიც აერთიანებს 21 თემატური ბიზნეს ასოციაციას, შესაბამისად გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია, ასევე უკუკავშირი ოპერატიულად მიიღებოდა ბიზნესის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებისგან.

გეგმის მომზადების პროცესში ჩატარდა 11 შეხვედრა, ამათგან 3 შეხვედრა ჩატარდა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან (მათ შორის მეწარმეები, სამშენებლო სექტორის წარმომადგენლები, პროფესიული და ბიზნეს ასოციაციები), ადგილობრივი ეკონომიკისა და გეგმის თემატური ბლოკების განხილვის, გამოწვევებისა და პერსპექტივების შეფასების, SWOT ანალიზის, ხედვისა და მიზნების, სამოქმედო



გეგმის შედგენისა და მათი მხრიდან შესაბამისი უკუკავშირის დადგენისათვის. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა კომუნიკაცია სამუშაო ჯგუფის წევრებსა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს შორის ინფორმაციის დამუშავებისა და კორექტირებისათვის. შეხვედრების შემდეგ ხშირი იყო დამატებითი შეხვედრების ინიციატივები და სატელეფონო კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული საფუძველზე მომზადდა ქალაქ ბათუმის ეკონომიკური განვითარების გეგმის 2019-2020 სამუშაო ვერსია, რომელიც დადებითად შეფასდა ევოკავშირის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სამდივნოს მიერ, ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გაიგზავნა მსოფლიო ბანკში შესაფასებლად.

ქალაქ ბათუმის ეკონომიკური განვითარების გეგმა 2019-2020 მსოფლიო ბანკის მიერ შეფასდა როგორც ერთ-ერთი საუკეთესო და 2019 წლის 30 სექტემბერს ევოკავშირის სამდივნოს წარმომადგენლებთან, პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში, გამართულ შეხვედრაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი.

გეგმის შესრულების მიმდინარეობის ზედამხედველობის მიზნით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და საჯარო სექტორის წარმომადგენლებისგან. ჯგუფის მიერ 2020 წლის იანვარში მომზადდა ეკონომიკური განვითარების გეგმით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის შესრულების პირველი ფაზის ანგარიში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა.

#### **ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

ენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის წესისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასურის დადგენის შესახებ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 02 ნოემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“  
იურისტი - შორენა ავჯიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზანია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის წესისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასურის დადგენის შესახებ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 02 ნოემბრის №55 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 10/11/2011წ., სარეგისტრაციო კოდი: 310120000.35.132.016082) ცვლილების შეტანა, კერძოდ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის საფასურის განსაზღვრა 45 (ორმოცდახუთი) ლარის ოდენობით, ნაცვლად 30 (ოცდაათი) ლარისა. ასევე, კანონმდებლობის შესაბამისად, დადგენილების მთელ ტექსტში ნაცვლად „საფასურისა“ ეთითება „ხარჯი“, რის გამოც იცვლება შესაბამისი პუნქტები.

დადგენილების პროექტის მიხედვით ხდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის წესისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასურის დადგენის შესახებ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 02 ნოემბრის №55 დადგენილების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ოდენობის ცვლილება, კერძოდ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის საფასური განისაზღვრება 45 (ორმოცდახუთი) ლარით 30 (ოცდაათი) ლარის ნაცვლად.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ზვიად გამსახურდიაზე გაჩერებული მანქანების საჯარიმოზე გადაყვანის შემთხვევაში ფასის გაზრდა არ გახდება საჭირო.

საკრებულოს წევრმა თამაზ სალუქვაძემ დასვა შეკითხვა ამორტიზირებული წლების განმავლობაში გაჩერებული მანქანების გადაყვანის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მომავლისათვის იგეგმება მათი გადაყვანა.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე სარეკლამოდ, გასაყიდად გაჩერებული ავტომობილების საკითხი მოსაგვარებელია.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი-2(რ.თავართქილაძე,  
ა. მამულაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 8.** „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 125<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“  
იურისტი - შორენა ავჯიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რო „ადგილობრივი თითმმართველობის შესახებ“ საქართველოს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცალო სავაჭრო ქსელის გარეთ (გამოტანითი) ვაჭრობა, სავაჭრო-სარეალიზაციო ნივთების განთავსება და მომსახურეობა საზოგადოებრივ სივრცეებში, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო, რეგულირდება „თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, ზემოდაღნიშნულ ნორმატიულ აქტში არსებული ხარვეზების გამო, სრულად ვერ ხერხდება დასახული მიზნებისა და სასურველი შედეგის მიღწევა. კერძოდ, დასახვეწია სავაჭრო ობიექტების გარეთ გარევაჭრობისთვის განკუთვნილი ადგილების კონკრეტიზაცია და მიზანშეწონილება, საზოგადოებრივი სივრცეების

(ტროტუარი და სხვა)არსებული პარამეტრების თანამედროვე პირობებთან შეუთავსებლობა და სხვა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიაზე უმთავრეს ამოცანად ითვლებოდა ძველი, არსებული პარამეტრების ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებდა გარე ვაჭრობის ადგილის განსაზღვრის დროს, სავაჭრო სარეალიზაციო ნივთების განთავსება შესაძლებელი იყო ტროტუარის ე. წ. ბორდიურიდან 0,75 მეტრ მანძილზე, რაც დიდ უხერხულობას და გაუგებრობას იწვევდა, რადგან იზღუდებოდა საზოგადოებრივი სივრცე, ფეხით მოსიარულეთა გადასადგილებელი და იქმნებოდა სხვა სირთულეებიც.

ახალი რეგულაციების შემუშავება, ქალაქის არასტანდარტული ქუჩების საზოგადოებრივი სივრცეებისა და ტროტუარების გათვალისწინებით მოხდა, რაც იმაში მდგომარეობს რომ გარე ვაჭრობის ადგილის განსაზღვრა და სავაჭრო ნივთების განთავსება შესაძლებელი იქნება საზოგადოებრივი სივრცის (ტროტუარი და სხვა) სიდიდის შესაბამისად. ეს კი ნიშნავს იმას, რომ რაც უფრო მეტია საზოგადოებრივი სივრცის სიდიდე (ტროტუარი და სხვა) მით უფრო მეტი მანძილი რჩება ფეხით სასიარულოდ (2,0-2,5-3,0-3,5 და ა.შ) შესაბამისი ცხრილი თან დაერთვის 1 ფურცელზე.

ცვლილებას მოითხოვს აგრეთვე გარე ვაჭრობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტში არსებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დღემდე მოქმედი რეგულაციები, რომელიც სანებართვო პირობების დარღვევებისათვის იყო გათვალისწინებული და არანაირი ეფექტი არ ქონდა ფაქტიურად უმოქმედო იყო (საპიგასამტეხლო დარიცხვა 0,05%-ს შეადგენდა)

აუცილებელ ფაქტორად მიგვაჩნია ასევე, გარე ვაჭრობის უფლების გასაცემად წარმოდგენილი დოკუმენტაციის ჩამონათვალის სრულყოფა და კვალიფიკაცია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცვლილებათა პროექტში ინფორმაციის სახით კონკრეტულად ჩაიწერა განამრტება - საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებული შენობა-ნაგებობები, ითვლება დროებით შენობა - ნაგებობებად და ძალაშია გარე ვაჭრობის უფლების მიმნიჭებელი აქტის იურიდიული ვადის ამოწურვამდე, ცხადია თუ კი დაინტერესებული პირი არ შეიტანს შესაბამის განცხადებას ნებართვის გაგრძელების თაობაზე.

პროექტის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი რეგულაციების მიღება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ სივრცეებში, საზოგადოებრივ ადგილებში, (ტროტუარი და სხვა) გარევაჭრობის მოწყობის მოწესრიგებას, ვაჭრობისა და მოსახურების კულტურის ამაღლებას, მოსახლეობის ინტერესებისა და ქალაქის იერსახის დაცვას, საზოგადოებრივი სივრცეების გამტარუნარიანობის ამაღლებას.

## ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15

სხდომას არ ესწრებოდა: - 2 (ლ. სირაბიძე, თ. კახიძე)

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 9. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“  
ადმინისტრაციის უფროსი - მარად სანიკიძე)

პროექტის მიღების მიზანია თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 03/11/2010; სარეგისტრაციო კოდი: 310150000.35.132.016008) ცვლილების შეტანა, კერძოდ:

ა) პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობისათვის საფასური დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით იცვლება (იზრდება) შემდეგნაირად:

**არსებული:**

**ცვლილების შემდეგ:**

- ა) 1 დღე - 1 (ერთი) ლარი;
- ბ) 7 დღე - 5 (ხუთი) ლარი;
- გ) 30 დღე - 10 (ათი) ლარი;
- დ) 182 დღე - 25 (ოცდახუთი) ლარი;
- ე) 365 დღე - 40 (ორმოცი) ლარი.

- 1 დღე - 10 (ათი) ლარი ;
- 7 დღე - 20 (ოცი) ლარი;
- 30 დღე - 30 (ოცდაათი) ლარი;
- 182 დღე - 45 (ორმოცდახუთი) ლარი;
- 365 დღე - 60 (სამოცი) ლარი.

დადგენილების პროექტის მიხედვით იზრდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასური.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ დასვა შეკითხვა ჯარიმების ამოღების დაბალი მაჩვენებლის შესახებ, აღნიშნა, რომ პარკირების თემებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ხარვეზებია დასარეგულირებელი, რაზედაც საკანონმდებლო ორგანოებთან მიმდინარეობს კონსულ-

ტაციები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარკირების ადგილების ორგანიზების წესების დარღვევისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით არის განსაზღვრული ჯარიმები, შესაბამისად ადგილობრივი ხელისუფლება, თვითმმართველობა მოკლებულია იმ ბერკეტს ცვლილების განსახორციელებლად, თუმცა თვითმმართველობამ გადადგა ნაბიჯი და შექმნა ახალი მუნიციპალური ინსპექცია, რომელიც განახორციელებს აღნიშნულ უფლებამოსილებას.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა დასვა შეკითხვა პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობისათვის საათობრივ საფასურთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება არ ეხება საათობრივს.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ საათობრივს ეთანხმებოდა, მაგრამ ამ ეტაპისთვის თვლის, რომ ქალაქი არ არის მზად მოსაკრებლის გაძვირებისთვის, რის გამოც კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

საკრებულოს წევრის რაულ თავართქილაძის აზრით, პარკირების საფასურის ამოღების მექანიზმი უნდა გაუმჯობესდეს, ამისთვის საჭიროა საქართველოს პარლამენტმა განახორციელოს ცვლილება.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ არადეკვატური ფასების ზრდაა მოსახლეობის შეჭირვებული პირობებიდან გამომდინარე. მან დასვა შეკითხვა ადგილობრივ და უცხოელ მოქალაქეებზე ფასების განსხვავებულების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა უპასუხა, რომ ფასები ერთნაირია და მოსახლეობის შეჭირვებულ ფენაზე არ არის გათვალისწინებული.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ე. ანდრიაძე, ნ. ძიძიგური)

**და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმში, ნ. ბარათაშვილის ქ. N14/ზ. გორგილაძის ქ. N2-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე გიორგი ერქომაიშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გიორგი ერქომაიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქ. ბათუმის დაგეგმარებისა და განაშენიანების საქმეში. ის წარმატებით უხამებდა ერთმანეთს ადმინისტრაციული ხელმძღვანელის თანამდებობასა და შემოქმედებით არქიტექტურულ საქმიანობას. სხვადასხვა დროს, მას, როგორც ავტორსა და თანაავტორს, დაპროექტებული და რეალიზებული აქვს 54-ზე მეტი სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების ობიექტი, კერძო ქ. ფოთში, ქ. ოზურგეთში, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებში, ქ. ბათუმში და სრულიად აჭარის რეგიონში, სადაც დაპროექტებული და აშენებული აქვს საცხოვრებელი სახლები, კულტურის სასახლები, სკოლები, ადმინისტრაციული შენობები, სასოფლო კლუბები, სამედიცინო-სამკურნალო დაწესებულებები, მცირე არქიტექტურული ფორმები და მრავალი სხვა.

დაჯილდოებული იყო მედლებითა და საპატიო სიგელებით. ოთხჯერ იყო არჩეული მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად (1969-1981წწ); 1961 წელს მიენიჭა აჭარის დამსახურებული ინჟინრის წოდება, ხოლო 1971 წელს საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება. 1999 წელს დაჯილდოვდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით ღირსების ორდენით. მისი სახელი შეტანილია თანამედროვე ქართველ არქიტექტორთა ბიოგრაფიულ ლექსიკონში ასევე, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიაში.

არქიტექტურული და ქალაქთმშენებლობის განვითარების სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და მრავალწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიზანშეწონილია საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 11. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 10 თებერვლის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცალო სავაჭრო ქსელის გარეთ (გამოტანილი) ვაჭრობა, სავაჭრო-სარეალიზაციო ნივთების განთავსება და მომსახურეობა საზოგადოებრივ სივრცეებში, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო, რეგულირდება „თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, ზემოდაღნიშნულ ნორმატიულ აქტში არსებული ხარვეზების გამო, სრულად ვერ ხერხდება დასახული მიზნებისა და სასურველი შედეგის მიღწევა. კერძოდ, დასახვეწია სავაჭრო ობიექტების გარეთ გარევაჭრობისთვის განკუთვნილი ადგილების კონკრეტიზაცია და მიზანშეწონილება, საზოგადოებრივი სივრცეების (ტროტუარი და სხვა) არსებული პარამეტრების თანამედროვე პირობებთან შეუთავსებლობა და სხვა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიაზე უმთავრეს ამოცანად ითვლებოდა ძველი, არსებული პარამეტრების ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებდა გარე ვაჭრობის ადგილის განსაზღვრის დროს, სავაჭრო სარეალიზაციო ნივთების განთავსება შესაძლებელი იყო ტროტუარის ე. წ. ბორდიურიდან 0,75 მეტრ მანძილზე, რაც დიდ უხერხულობას და გაუგებრობას იწვევდა, რადგან იზღუდებოდა საზოგადოებრივი სივრცე, ფეხით მოსიარულეთა გადასადგილებელი და იქმნებოდა სხვა სირთულეებიც.

ახალი რეგულაციების შემუშავება, ქალაქის არასტანდარტული ქუჩების საზოგადოებრივი სივრცეებისა და ტროტუარების გათვალისწინებით მოხდა, რაც იმაში მდგომარეობს რომ გარე ვაჭრობის ადგილის განსაზღვრა და სავაჭრო ნივთების განთავსება შესაძლებელი იქნება საზოგადოებრივი სივრცის (ტროტუარი და სხვა) სიდიდის შესაბამისად. ეს კი ნიშნავს იმას, რომ რაც უფრო მეტია საზოგადოებრივი სივრცის სიდიდე (ტროტუარი და სხვა) მით უფრო მეტი მანძილი რჩება ფეხით სასიარულოდ (2,0-2,5-3,0-3,5 და ა.შ) შესაბამისი ცხრილი თან დაერთვის 1 ფურცელზე.

ცვლილებას მოითხოვს აგრეთვე გარე ვაჭრობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტში არსებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დღემდე მოქმედი რეგულაციები, რომელიც საწინააღმდეგო პირობების დარღვევებისათვის იყო გათვალისწინებული და არანარი ეფექტი არ ქონდა ფაქტიურად უმოქმედო იყო (საპიგასამტეხლო დარიცხვა 0,05%-ს შეადგენდა)

აუცილებელ ფაქტორად მიგვაჩნია ასევე, გარე ვაჭრობის უფლების გასაცემად წარმოდგენილი დოკუმენტაციის ჩამონათვალის სრულყოფა და კვალიფიკაცია.



აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცვლილებათა პროექტში ინფორმაციის სახით კონკრეტულად ჩაიწერა განამრტება - საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებული შენობა-ნაგებობები, ითვლება დროებით შენობა - ნაგებობებად და ძალაშია გარე ვაჭრობის უფლების მიმნიჭებელი აქტის იურიდიული ვადის ამოწურვამდე, ცხადია თუ კი დაინტერესებული პირი არ შეიტანს შესაბამის განცხადებას ნებართვის გაგრძელების თაობაზე. პროექტის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი რეგულაციების მიღება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ სივრცეებში, საზოგადოებრივ ადგილებში, (ტროტუარი და სხვა) გარევაჭრობის მოწყობის მოწესრიგებას, ვაჭრობისა და მოსახურების კულტურის ამაღლებას, მოსახლეობის ინტერესებისა და ქალაქის იერსახის დაცვას, საზოგადოებრივი სივრცეების გამტარუნარიანობის ამაღლებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიის სხდომის ერთობლივი გადაწყვეტილებით წარმოდგენილ პროექტში შესატანია ცვლილება: კერძოდ, საზ.ადგილების დარჩენილი სიფართე პარამეტრების ცხრილის მე-5, 6 და მე-7 პუნქტების 2,8; 2, 0; 2,0-ის ნაცვლად განისაზღვროს 1,8.

### **ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ე ს :** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15

სხდომას არ ესწრებოდა: - 2 (დ. ჭეიშვილი, ნ. ცინცაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი. ცვლილების გათვალისწინებით.

### **მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სავაჭრო-სამოქმედო ზონებად დაყოფის პარალელურად (I სავაჭრო-სამოქმედო ზონა-ბულვარის მიმდებარე ტერიტორია; II სავაჭრო სამოქმედო ზონა-ქალაქის ცენტრალური ნაწილი; III სავაჭრო სამოქმედო ზონა-ქალაქის პერიფერიული ნაწილი) ზემოხსენებული ზონების მიხედვით განისაზღვრა გარევაჭრობის საფასურიც (1 კვ.მ გადასახდელი თანხა) ცხადია ზონების მიხედვით შემოღებული

სახდელეები (ტარიფები) დიფერენციული იქნება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გარევაჭრობის მოწყობისა და ორგანიზების კულტურას, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებასა და ქალაქის იერსახის დაცვას, საზოგადოებრივი სივრცეების რაციონალურად გამოყენებასა და გამტარუნარიანობის ამაღლებას. სავაჭრო-ობიექტების მეპატრონეები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან შენობის გარეთ ვაჭრობის ორგანიზებას და არ დაუშვებენ ფეხით სავალი გზების (ტროტუარების) შეზღუდვების შესაძლებლობას. პროექტის მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სავაჭრო-სამოქმედო ზონების მიხედვით ახალი გადასახდელეების (ტარიფების) შემოღება, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი სივრცეების (ტროტუარი და სხვა) გამოყენებას ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას და საფეხმავლო გზების გამოთავისუფლებას ყოველგვარი უსახური სავაჭრო-სარეალიზაციო ნივთებისაგან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიის სხდომის ერთობლივი გადაწყვეტილებით წარმოდგენილ პროექტში შესატანია ცვლილება: კერძოდ, რესტორნების, კაფე-ბარების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების წინ სავაჭრო-სარეალიზაციო დანიშნულების ნივთების: მაგიდა, სკამები, საჩრდილობელი და სხვა სავაჭრო ინვეტარი - საფასური ნაცვლად 40 ლარისა განისაზღვროს 50 ლარით და პირველი კლასის შენობა-ნაგებობები, სავაჭრო ჯიხურები ნაცვლად 40 ლარისა განისაზღვროს 50 ლარით.

#### **ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15

სხდომას არ ესწრებოდა: - 2 (დ. ჭეიშვილი, ნ. ცინცაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

#### **მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 13. „სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესი“-ს პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები - საკრებულოები. პროექტი გავლენას იქონიებს ქონების გადასახადის გადამხდელებზე. ასევე, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრებაში განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოებზე.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 14.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული საზოგადოებრივი საპირფარეოს სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განკარგვის მიზნით, ქონების (მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობები) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა.

პროექტის არსია: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა:

1. თავდადებულის ქ.N32/ზუბალაშვილის ქ. N26; ს/კ N05.22.46.008; აუდიტი: Nბთ/მ-169; 20.12.2019წ.: 439 კვმ მიწიდან 30 კვმ მიწა - 19500,0 ლრ. და 14,42 კვმ შენობა - 12257,0 ლრ.; სულ 31757,0 ლრ. - 5% = **1587,85 ლრ.**; (განისაზღვროს - **1600,0 ლრ.**);

2. ს. ხიმშიაშვილის ქ., შინდისის სკვერი; ს/კ N05.26.04.103; აუდიტი: Nბთ/მ-170; 20.12.2019წ.; 53 კვმ მიწა - 13250,0 ლრ. და 12,85 კვმ შენობა - 9637,5 ლრ.; სულ 22887,5 ლრ. - 5% = **1144,38 ლრ.**; (განისაზღვროს - **1200,0 ლრ.**);

3. გონიო-კვარიათის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პლაჟების მონაკვეთების (20 ერთ.) საწყისი საპრივატიზებო ღირებულებიდან (აუდიტი: ბთ/მ-8 .... ბთ/მ-27; 11.02.2020წ.) გამომდინარე 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი სარგებლობის საფასური (5%) შეადგენს **49,25 - 57,0 ლარს**; (განისაზღვროს **1 კვმ-ზე** საწყისი სარგებლობის საფასურის სახით **60 ლარიდან** დაანგარიშებით ცხრილის მიხედვით). პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი, ქონების სარგებლობის საფასურის სახით.

#### ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

#### მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, გორგილამის ქ.N91-ს მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (N23701/25; 06.08.2018წ.; N23630/25; 10.09.2019წ.) მომართა ლენა გოგიბერიძემ რომლითაც ითხოვს მის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, გორგილამის ქ. N91-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი:

05.23.12.006.01.508) მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემას, საზოგადოებრივი ობიექტის (კაფე) საქმიანობისათვის გამოყენების მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს ლენა გოგიბერიძის განცხადება და მის საკუთრებაში არსებულ მოქმედ კაფესთან ფუნქციურად დაკავშირებული სივრცის გამოყენების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, 5 წლის ვადით, იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. №91-ს მიმდებარედ არსებული 68,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.23.12.040). მიწის საპრივატიზებო ღირებულების (36720,0 ლარი; 5% - 1836,0 ლარი) შესახებ აუდიტის დასკვნიდან (Nბთ/მ-3; 03.02.2020წ.) გამომდინარე ობიექტის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 5508,00 (ხუთი ათას ხუთას რვა) ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიის სხდომის ერთობლივი გადაწყვეტილებით წარმოდგენილ პროექტში შესატანია ცვლილება: კერძოდ, უძრავი ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ნაცვლად 5508,0 ლარისა 10 000 ლარით.

## **ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებთქემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 16. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ბარბარეს ეკლესიის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (N27782/25; 30.10.2019წ.) მომართა შპს „აჭარაბათუმი“, რომელშიც აღნიშნავს, რომ შპს „აჭარაბათუმი“-ს სარგებლობაშია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ბარბარეს ეკლესიის მიმდებარედ არსებული 300,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N05.22.04.008) და მიმდებარედ, ქ. ბათუმში, რუსთაველის, ვ. ფშაველას/ნინოშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 65,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N05.22.04.012). აღნიშნულ მიწებს შორის არსებობს დაურეგისტრირებელი 284,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (სივრცე), რომელიც წინააღმდეგობას ქმნის ბიზნესის განვითარებისათვის, ითხოვა მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირება და სარგებლობაში გადაცემა. აღნიშნული 284,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 2019 წლის 25 დეკემბრიდან N05.22.04.013 საკადასტრო კოდით დარეგისტრირდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს შპს „აჭარაბათუმი“-ს განცხადება და მის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ კაფესთან ფუნქციურად დაკავშირებული სივრცის გამოყენების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, 2025 წლის 03 აპრილამდე ვადით (N05.22.04.008 მიწის ნაკვეთზე არსებული ხელშეკრულების ვადით), იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ბარბარეს ეკლესიის

მიმდებარედ არსებული 284,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N05.22.04.013). მიწის საპრივატიზებო ღირებულების (355000,0 ლარი; 5% - 17750,0 ლარი) შესახებ აუდიტის დასკვნიდან (Nბთ/მ-1; 03.02.2020წ.) გამომდინარე ობიექტის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 21300,00 ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიის სხდომის ერთობლივი გადაწყვეტილებით წარმოდგენილ პროექტში შესატანია ცვლილება: კერძოდ, უძრავი ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ნაცვლად 21300,0 ლარისა 25 000 ლარით.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 17. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 18. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემას და მასთან დაკავშირებულ ტარიფებს ადგენდა, „ადგილობრივი თითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონი და თვითმმართველი ქალაქის ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 31 იანვრის №6 დადგენილება „ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლებით გადაცემის ნორმატიულ საფასურის დადგენის შესახებ“.

როგორც მოგეხსენებათ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ქუჩები და საზოგადოებრივი სივრცეები გადატვირთულია ავტომობილებითა მოძრავი საშუალებებით, იშვიათი გამონაკლისის გარდა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და ადგილებში შეუძლებელი ხდება ავტომობილების პარკირება. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ტურისტული სეზონი დაწყების შემდეგ და ისედაც გადატვირთული ქალაქშიკიდევ უფრო იკვეთება ავტომობილების პარკირების სირთულეები და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების სასყიდლით გადაცემისას ხელმძღვანელობდა ზემოთ აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, თუმცა მიაჩნია, რომ არსებული რეგულაცია შესაცვლელია და 1 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის ღირებულება მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს, რაც აამაღლებს დაინტერესებული მხარეების პასუხიმგებლობასა და პარკირების ორგანიზების მსურველთა რაოდენობის შემცირებას, რაც ხელშემწყობი ფაქტორი იქნება იმისა, რომ უფრო მეტად გამოთავისუფლდეს საპარკინგე ადგილები და ავტომობილებებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ექმნებათ მეტი საშუალება და შესაძლებლობა შეუზღუდავად გამოიყენონ თავისუფალი ავტოსადგომები. ამდენად, საეთო პარკირების ადგილის სასყიდლით (გაზრდილი ფასით) გადაცემა, იქნება, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება აღნიშნული საკითხის დარეგულირების საქმეში. პროექტის მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპარკინგე სივრცეების გამოთავისუფლება, მეტი საპარკინგე ადგილის გაჩენა, საგზაო მოძრაობის განმუხტვა.



აზრი

გამოთქვეს:

- საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

საკითხი 19. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, გოგოლის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 20 თებერვალს #343/02 (N°3684/25) წერილით მომართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ რომელშიც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ა.რ./ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2019 წლის 11 აპრილის საოქმო გადაწყვეტილების თანახმად (რეკომენდაცია #15), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა, განახორციელოს სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, გოგოლის ქუჩა N1-ში მდებარე 107 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის N1 საერთო ფართით 112,16 კვ.მ. (მ.შ. I სართული - 54,04 კვ.მ., II სართული - 58,12 კვ.მ.), (მიწის (ძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N05.29.17.081) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაციისთვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 16 იანვრის #1/1-266 ბრძანებით აღნიშნული უძრავი ქონება საკუთრებაში გადმოეცა ქალაქ ბათუმის მინიციპალიტეტს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა, აქედან

გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს ზემოაღნიშნული უძრავი ქონების, იქ მცხოვრებ მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოაღნიშნული აღნიშნული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში იქ მცხოვრები ოჯახებისთვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

## ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ე ს : - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

## მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 20. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ახმედ მელაშვილის ქ. №13-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 20 თებერვალს №343/02 (№3684/25) წერილით მომართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ რომელშიც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ა.რ/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2017 წლის 08 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილების თანახმად (რეკომენდაცია №12), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტოს ეთხოვა, განახორციელოს სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ახმედ მელაშვილის ქ. №13-ში მდებარე უძრავი

ქონების I სართულზე არსებული 33,67 კვ.მ. ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის (მიწის (ძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N05.21.12.015.01.559) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაციისთვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 23 იანვრის №1/1-434 ბრძანებით აღნიშნული უძრავი ქონება საკუთრებაში გადმოეცა ქალაქ ბათუმის მინიციპალიტეტს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა, აქედან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს ზემოაღნიშნული უძრავი ქონების, იქ მცხოვრები მოქალაქისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოთაღნიშნული აღნიშნული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

- კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17
- კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
- წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს სხდომის მდივანი

მზევინარ წულუკიძე

